

ლეილა ქველიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

Leila.kvelidze@atsu.edu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.83>

ახალი არაბული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ტენდენციები და ენობრივი სიტუაცია

საკვანძო სიტყვები: ახალი არაბული ლიტერატურა, დიალექტური არაბული ლიტერატურა

ახალი არაბული ლიტერატურის განვითარება იწყება XIX საუკუნის II ნახევრიდან. ახალ არაბულ ლიტერატურაში მიმდინარე ძირეული ცვლილებებსა და განვითარების დინამიკას განაპირობებს XX საუკუნის დასაწყისის მიერ შემოტანილი ახალი იდეები და განვითარების პერსპექტივები. XX საუკუნე არაბული მწერლობისათვის დასავლური ლიტერატურული მიმართულებების შეცნობისა და გათავისების პერიოდად იქცა. ამავე დროს ახალი არაბული ლიტერატურა ახერხებს შეინარჩუნოს ეროვნული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი საერთო კულტურულ-ლიტერატურულ კონტექსტში. ვსაუბრობთ რა არაბულ ლიტერატურაზე, ვგულისხმობთ სხვადასხვა არაბული ქვეყნის ლიტერატურას. ათეულობით არაბული სახელმწიფო არსებობს განსხვავებული ისტორიითა და განვითარების განსხვავებული დონით. ამავე დროს არსებობს რიგი ფაქტორებისა, რომლებიც ამ ერთობას უწყობს ხელს. მაგალითად: საერთო ისტორიული გამოცდილება, არაბული ენა და საერთო კულტურული მემკვიდრეობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა კი ყოველთვის არაბულ ენას ენიჭებოდა. არაბული ქვეყნების წარმომადგენელი მწერლები ერთ ენას იყენებენ და საერთო ლიტერატურული ტრადიციააქვთ. თუმცა, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ამ ქვეყანების ლიტერატურულ ნაწარმოებებში არსებობს განსხვავებები. ახალი არაბული ლიტერატურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში ასევე ახალი ენობრივი და სტილისტური ნორმების შექმნაში პუბლიცისტიკამ და პრესამ გადაწყვეტი როლი ითამაშა. პრესის საშუალებით არაბულ ენაში ახალი სამყაროს აქტუალური და ცოცხალი მასალა აისახა.

ახალი არაბულ ლიტერატურის განვითარების ყველა ეტაპზე აქტუალურია არაბული სალიტერატურო ენის გამოყენების საკითხი. არაბულ ქვეყნებში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული დღემდე იგი პოლემიკის საგანს წარმოადგენს. როგორც ცნობილია, არაბულ სალიტერატურო ენას არაბულ ქვეყნებში მხოლოდ წერილობითი მიზნებისათვის იყენებენ, სასაუბროდ კი მას ხმარობენ ოფიციალურ შემთხვევაში. ამის მიზეზი კი ისაა, რომ სალიტერატურო ენა მოსახლეობისათვის გაუგებარია და ისინი ყოველდღიური ურთიერთობისათვის იყენებენ სასაუბრო ადგილობრივ დიალექტს, რომელიც წარმოადგენს ცოცხალ

სასაუბრო ყოველდღიურ მეტყველებას. ლიტერატურაში ხშირად ხდება ამ ორი ფორმის გამოყენება. პარალელურად არსებობს სალიტერატურო არაბულ ენასა და არაბულ დიალექტზე შექმნილი ლიტერატურა. არაბი მწერლებისა და ლიტერატორების უმრავლესობა უპირატესობას სალიტერატურო ენას ანიჭებს, რომელიც გამომსახველობითი და მაღალმხატვრული შესაძლებლობებით გამოირჩევა. მას ახასიათებს მყარი გრამატიკული სისტემა, მდიდარი ლექსიკა და საერთო ფორმა, რაც ხელმისაწვდომს ხდის მას არაბული სამყაროს სხვადასხვა ქვეყნების მკითხველთათვის. ამავე დროს, დიალექტებზეც იქმნება მხატვრული ნაწარმოებები და ფაქტია, რომ დიალექტური არაბული ლიტერატურა გავლენას ახდენს ზოგადად არაბული ლიტერატურული პროცესის განვითარებაზე. მხატვრულ ნაწარმოებში ენის ლიტერატურული ფორმისა, თუ დიალექტის შერჩევა დამოკიდებულია მის სიუჟეტსა და დანიშნულებაზე. ლიტერატურაში რეალური სურათის ასახვის მიზნით დიალოგებსა და რიგ პასაჟებში დიალექტია გამოყენებული. ამ თვალსაზრისით დრამატურგია გამოირჩევა. დიალექტებზეც იქმნება მხატვრული ნაწარმოებები. მაგალითად ეგვიპტეში დიალექტზე წერის ცდებს ვხედავთ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში. ამგვარად ახალი არაბული ლიტერატურის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მასში აისახება რთული ენობრივი სიტუაცია, რომელსაც დიგლოსიას უწოდებენ. ამ პრობლემის გადაჭრას ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან ცდილობდნენ, მაგრამ დღემდე დისკუსიის საგნად რჩება.

საერთო ლიტერატურული ტენდენციების არსებობა მნიშვნელოვანია არაბული ერთობის შესანარჩუნებლად. ამიტომაც, თავად არაბები უფრო ხშირად საუბრობენ საერთო არაბულ ლიტერატურაზე, ვიდრე ეგვიპტურზე, ლიბანურსა თუ ერაყულზე (დოლინინა 1961:3). ბევრი ცნობილი არაბი მწერალი (მაგ: ნაჯიბ მაჰფუზი და იაჰია ჰაკკი) თვლიდა, რომ ლიტერატურას შეეძლო მიეღწია არაბული ერთობისთვის, რამდენადაც ყველა ქვეყნის წარმომადგენელი მწერლები ერთ ენას იყენებენ და საერთო კულტურული საფუძველი, ლიტერატურული ტრადიცია და ასევე მსგავსი ისტორიული გამოცდილება აქვთ. მიუხედავად ერთიანი არაბული ლიტერატურის შენარჩუნებისკენ ასეთი სწრაფვისა, ყველა არაბულმა ქვეყანამ როდი შეძლო, ერთნაირი წვლილი შეეტანა არაბული ლიტერატურის განვითარებაში. ისტორიული პირობებისა და საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვაგვარობის შედეგად შუა საუკუნეების ლიტერატურიდან თანამედროვეზე გადასვლა არაბული სამყაროს სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა დროს და განსხვავებულად მოხდა. ახალი არაბული ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი ეგვიპტემ, ლიბანმა და სირიამ შეიტანეს. ისტორიულად არაბული სამყაროს ამ ნაწილს დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა და შესაბამისად, არაბულ კულტურაში დასავლური ელემენტების შემოტანაშიც დიდი როლი ითამაშა.

ახალ არაბულ ლიტერატურაში განვითარების რამდენიმე პერიოდი გამოიყოფა: ახალი ჟანრების აღმოცენებისა და განვითარების ადრეული ეტაპი (XIX საუკუნის მიწურულიდან XX საუკუნის დასაწყისი); განვითარების ეტაპი (1930-50-იან წლები) და მესამე, განახლების ე.წ ახალი ხედვის პერიოდი, რომელიც 1960-იანი წლებიდან იწყება. ჩვეულებრივ, ახალი ეტაპის, თუ პერიოდის დაწყებას რაიმე განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი სიახლის გაჩენა განაპირობებს.

ახალი ლიტერატურული ჟანრების წარმოშობა განვითარების პროცესი არაბულ სამყაროში XIX საუკუნეში დაიწყო და იგი პრესისა და პუბლიცისტიკის გაჩენამ კიდევ

უფრო დააჩქარა. ევროპაში სასწავლებლად გაგზავნილი ახალგაზრდები ეზიარებოდნენ რა დასავლურ ლიტერატურასა და კულტურას, ინტენსიურად თარგმნიდნენ დასავლური ლიტერატურის ნიმუშებს, რამაც არაბული საზოგადოებისთვის შესაძლებელი გახდა გასცნობოდა საკუთარი ტრადიციისაგან განსხვავებულ ლიტერატურას. აღნიშნულმა გარემოებებმა ხელი შეუწყო არაბულ ლიტერატურაში სიახლეების გაჩენასა და დამკვიდრებას. ახალ არაბულ ლიტერატურაში ასევე განსხვავებული მიმართულებები გაჩნდა. ხდებოდა რიგი ტრადიციული ფორმების უარყოფა, ნაყოფიერი ძველი ტრადიციები კი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ვითარდებოდა და ევროპული ლიტერატურის ამა თუ იმ მიმდინარეობის გავლენას ეთანხმებოდა (დოლინინა 1961:5). მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული განსაკუთრებით ვითარდება ახალი არაბული პროზა. ჩნდება ახალი ჟანრები (რომანი, ნოველა) და ხდება მათი ასიმილაცია არაბულ გარემოსთან. პირველ არაბულ ნოველებზე რომანტიზმის ცხადი გავლენა შეინიშნება, მაგრამ რომანტიზმი მალე რეალიზმმა ჩაანაცვლა. XX საუკუნის დასაწყისში რეალისტური არაბული ნოველების შექმნა ძმების მაჰმუდ და მუჰამად თეიმურების სახელს უკავშირდება.

იმ დროისათვის არაბულ სამყაროში მიმდინარე დიდი სოციალური და პოლიტიკური ძვრების ფონზე XX საუკუნის დასაწყისში არაბულ ქვეყნებში ნაციონალიზმი ძლიერდებოდა, ახალგაზრდა მწერლებისთვის ნაციონალური დამოუკიდებლობა თანამედროვე მოდერნისტული ლიტერატურის შექმნასთან ასოცირდება, რაც, თავის მხრივ, ძველი ლიტერატურული ტრადიციებისაგან განთავისუფლებას გულისხმობდა. მათ საერთო მიზანი ჰქონდათ, ევროპული ლიტერატურული ტრადიციების მიბაძვით შეექმნათ ახალი არაბული ლიტერატურა. თუმცა ინტელექტუალთა ერთი ნაწილი ვარაუდობდა, რომ ამით ისლამური კულტურული მემკვიდრეობა განადგურდებოდა. აზრთა ასეთი სხვადასხვაობის მიუხედავად, XX საუკუნის დასაწყისი და მისი პირველი ათწლეულები არაბული ლიტერატურის ისტორიაში გარდატეხის პერიოდია. ამ დროს დანერგილმა სიახლეებმა არაბული ლიტერატურა განვითარების ახალი გზით წაიყვანა. 30-40-იანი წლები განვითარების ახალი ეტაპია. ამ პერიოდში უკვე ცნობილი მწერლები ზოგიერთ საკითხში განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, გარკვეულ საერთო დამოკიდებულებებსა და ტენდენციებს იზიარებდნენ და ცდილობდნენ შეექმნათ და განეითარებინათ ახალი არაბული პროზა; ამასთან, ლიტერატურაში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემად დასავლური კულტურის გავლენა რჩებოდა.

XX საუკუნის 1930-იან წლებში არაბ მწერლებზე რომანტიზმის გავლენა ჩანს. რომანტიკულ ხედვას მალე რეალიზმიც შეერია, უკვე 1940-იანი წლებიდან ე.წ. კრიტიკული რეალიზმი ვითარდება. რეალიზმის დამკვიდრებამ წამოჭრა რიგი ახალი საკითხებისა, მაგალითად: მხატვრულ ნაწარმოებში დიალექტის, დიალექტური ფორმების გამოყენების საკითხი. რეალური გმირის შესაქმნელად საჭირო ხდებოდა მისთვის დამახასიათებელი მეტყველების რეალურად ასახვაც. ბევრმა ცნობილმა მწერალმა საკუთარ ნაწარმოებებში, ძირითადად კი დიალოგებში, დიალექტის გამოყენება დაიწყო.

სალიტერატურო ენაში დიალექტის შემოტანის პირველი ცდა ეკუთვნის რეალისტური მიმართულების წარმომადგენელს ეგვიპტელ მუჰამად თეიმურს (1892-1921). ასევე დიალოგებში მთლიანად ეგვიპტურ დიალექტს იყენებს თავფიკ ალ-ჰაქიმი. განსაკუთრებულია ახალი არაბული ლიტერატურის კლასიკოსად აღიარებული მაჰმუდ თეიმურის დამოკიდებულება არაბული სალიტერატურო ენისა და დიალექტის

გამოყენების შესახებ არაბულ ლიტერატურაში. იგი ლიტერატურულ მოღვაწეობას იწყებს ეგვიპტური დიალექტის გამოყენებით და რეალისტური მიმართულების დამკვიდრებას ცდილობს. მისი შემოქმედების თემა ეგვიპტელი ხალხის ცხოვრების ასახვაა. სწორედ ამ პერიოდში იყენებს ის ეგვიპტურ დიალექტს, ცდილობს რა, სიმართლითა და სიზუსტით გადმოსცეს მისი გმირების მეტყველების თავისებურებანი. მოგვიანებით იგი უარს ამბობს ამ ხერხზე და ეგვიპტური დიალექტი სასაუბრო სალიტერატურო ენით იცვლება, თუმცა დიალექტის ელემენტებს სხვადასხვა სახით იყენებს. ამავე პერიოდში ის უკვე კატეგორიულად წინააღმდეგია დიალექტით სალიტერატურო ენის შეცვლის. აქვე მწერალი აღნიშნავდა, რომ არაბულ ქვეყნებში შეინიშნებოდა ურთიერთგავლენა სალიტერატურო ენასა და დიალექტებს შორის. მიუთითებდა, რომ საჭიროა სალიტერატურო ენის რეფორმა, რათა მან უკეთ უპასუხოს თანამედროვეობის მოთხოვნებს და არ იქცეს მკვდარ ენად. მაჰმუდ თეიმურის აზრით, სასაუბრო და სალიტერატურო არაბული ენის დაახლოებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა სალიტერატურო ენის ლექსიკის გამდიდრებას დიალექტის ხარჯზე, რადგანაც სწორედ დიალექტიდან სესხება არის სალიტერატურო ენისათვის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების ერთ-ერთი პირობა.

მოგვიანებით მაჰმუდ თეიმურმა თანდათანობით უარი თქვა დიალექტის გამოყენებაზე იმ მოტივით, რომ ყოველი არაბული ქვეყნის მწერალს ეკუთვნის არაბ ხალხს. ამა თუ იმ დიალექტზე წერა კი ერთი ქვეყნის მწერლობას გაუგებარს გახდის დანარჩენებისათვის. ეს დამლუპველია არაბთა ერთობისათვის, რომლის ძირითად და მნიშვნელოვან საფუძველს ერთიანი არაბული სალიტერატურო ენა წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ დიალექტმა ოფიციალურად ერთგვარად აღიარება მოიპოვა, როდესაც 1954 წელს არაბ მწერალთა პირველი ყრილობის დადგენილებაში დასაშვებად ჩაითვალა ნაწარმოებში დიალოგების წერა დიალექტზე. არსებობს ლიტერატურის ერთი ჟანრი, სადაც გამოიყენება დიალექტი და ეს აუცილებლობითაა ნაკარნახევი. ეს არის დრამატურგია, რადგან პიესა დაფუძნებულია დიალოგზე. ამგვარად, ხალი არაბული, ლიტერატურისათვის მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი დასავლური ლიტერატურის ესთეტიკური მიღწევების შეთვისების პერიოდად იქცა. ეს მონაკვეთი ხასიათდებოდა სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობების თანაარსებობით.

XX საუკუნის 1950-იან წლებში ლიტერატურული თვალსაზრისით საკმაოდ აქტიური იყო. ასპარეზზე გამოჩნდა მწერალთა ახალი ჯგუფი და ნოველისტთა პირველი ასოციაცია „ახალი სკოლა“ სრულიად ახალმა თაობამ შეცვალა. სურდათ რა, ეჩვენებინათ წინამორბედებისაგან საკუთარი განსხვავებულობა, თავიანთ თავს „ახალი რეალისტები“ უწოდეს. დაწყებულმა სოციალისტურმა მოძრაობამ ხელი შეუწყო ლიტერატურაში რეალიზმისა და სოცრელიზმის განვითარებას. მწერალთა უმრავლესობა იზიარებდა ჟან-პოლ სარტრის შეხედულებას, რომ მწერალი პოლიტიკურად და სოციალურად აქტიური უნდა ყოფილიყო. მხატვრული ნაწარმოები მხოლოდ წარმოსახვის ნაყოფი არ უნდა ყოფილიყო, მასში მწერლის პოზიცია უნდა ასახულიყო (ბადავი, 1985: 2-3). ამ ახალმა ლიტერატურულმა ხედვამ არსებითი ცვლილებები მოიტანა. 1950-იან წლებში რეალიზმმა აქამდე არსებული სხვა ყველა მიმდინარეობის გავლენა დაჩრდილა. მალე საზოგადოებრივად აქტიურობა მოთხოვნად და ვალდებულებად იქცა. როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ ე.წ. „მოვალეობის ლიტერატურა“ ნორმად დამკვიდრდა. ამან შედეგად მოიტანა ის, რომ ნაწარმოების შინაარსს უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა, ვიდრე ფორმას. მთავარი იყო, მწერალს აქტუალურ თემატიკაზე ეწერა. მწერლები ძირითადად

კონკრეტული ქვეყნის ყოფისთვის დამახასიათებელი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ინტელექტუალური საკითხების განხილვით არიან დაკავებული. თუმცა, რევოლუციური განწყობა, რამაც ძირითადად განაპირობა რეალიზმისა და სოციალური რეალიზმის ასეთი განვითარება, დიდხანს არ გაგრძელებულა. შესაბამისად, ლიტერატურაში თანდათან ახალი ტენდენციების გაჩენა დაიწყო, რაც ერთგვარი რეაქცია იყო აღწერითი რეალისტური ლიტერატურის წინააღმდეგ.

1960-იანი წლებისთვის ახალმა განწყობამ ლიტერატურის განვითარებაში დასაბამი მისცა ახალ ექსპერიმენტულ ტენდენციებს, რომელებშიც დასავლური ავანგარდული ლიტერატურის გავლენასთან ერთად კლასიკური არაბული ლიტერატურის გავლენაც იგრძნობოდა. ამგვარად 1960-იანი წლებიდან ახალი მნიშვნელოვანი პერიოდი დაიწყო თანამედროვე არაბული ლიტერატურის ისტორიაში. გაჩნდა ახალი ტალღა, რომელიც უკვე პირდაპირ შეესაბამებოდა იმ წლებში ევროპასა და ამერიკაში არსებულ ლიტერატურულ ტენდენციებს. საყოველთაო ლიტერატურულ მოძრაობაში ჩართვასთან ერთად არაბული ლიტერატურა სულ უფრო მეტად განუმეორებელ და თავისთავად სახეს იღებდა. ის არსებითი და თვალშისაცემი ცვლილება, რომელიც არაბულ ლიტერატურაში მოხდა 1960-იან წლებში, განპირობებული იყო ლიტერატურული და საზოგადოებრივი მიზეზებით. 1960-80-იანი წლების პერიოდი სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური და კულტურული რეალობით ხასიათდებოდა. ამის მნიშვნელოვანი შედეგი იყო პროზაული ჟანრების განვითარება არაბული სამყაროს იმ რეგიონებში, რომლებსაც აქამდე მნიშვნელოვანი წვლილი არ შეეძენათ არაბული ლიტერატურის განვითარებაში. ამავე პერიოდში თანდათან არაბულ პროზაში გაჩნდა გარეგანი რეალობიდან მწერლის შინაგან სამყაროში გადასვლის ტენდენცია, ახლა მოვლენათა რეალისტური აღწერის ნაცვლად ეგზისტენციალურ საკითხები განიხილებოდა. 1960-იანი წლების ახალგაზრდა მწერლები იცნობდნენ მოდერნიზმთან და პოსტმოდერნიზმთან ასოცირებულ ინოვაციებს, ამავე დროს ისინი ახლა უკვე მყარად იდგნენ არაბულ საფუძველზე, მის მდიდარ მემკვიდრეობას ეყრდნობოდნენ და გაუაზრებლად არ გადმოჰქონდათ დასავლური მიღწევები. ახალგაზრდა მწერლებს სურდათ ეპოვათ ახალი ლიტერატურული ორიენტაცია, ხელახლა განესაზღვრათ მწერლის როლი არაბულ საზოგადოებაში და გამოეხატათ ახალი თაობის შეხედულებები. ძველი ტრადიციის დასავლურ მოდერნისტულ ტექნიკასთან შერწყმამ ნაყოფიერი საფუძველი მოამზადა მდიდარი მხატვრული ლიტერატურის გაჩენისთვის მთელ არაბულ სამყაროში (სტარკეი, 2006: 140). ეს თაობა ცნობილი გახდა „სამოციანების თაობის“ სახელით იგი მზად იყო, შეეცვალა სოციალური რეალიზმის მიმბაძველობით და აღწერილობითი მეთოდი. მათ სურდათ, შეექმნათ საკუთარი ახალი სტილი და ღირებულებები. თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში „სამოციანების თაობის“ მიერ შექმნილი ე.წ. „ახალი ხედვა“ არ იყო მკაცრი მოდელი, ან ფორმა და განსაზღვრული სტილი. ის ხელს უწყობდა სხვადასხვა მიმდინარეობისა თუ სკოლის აღმოცენებას არაბულ ნიადაგზე. ამგვარად, მეტად ერთვებოდა არაბული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის პროცესში და, შესაბამისად, უფრო აქტიურად ვლინდებოდა სხვადასხვა მიმდინარეობის გავლენაც. ამ პერიოდში აქტიურად ვითარდება დიალექტური პოეზია ეგვიპტეში.

მომდევნო პერიოდიდან არაბული ლიტერატურა სხვა დასავლურ და აღმოსავლურ ლიტერატურებთან ერთად პოსტმოდერნიზმის ტალღას უერთდება (კირპიჩენკო, 1999:265). ლიტერატურული პროცესების ასეთი მრავალფეროვნების მიუხედავად სალიტერატურო

არაბული ენისა და ადგილობრივი დიალექტების ლიტერატურაში გამოყენების საკითხი ისევ აქტუალურ თემად რჩება. აღსანიშნავია, რომ განმანათლებლებისათვის, ასევე სენტიმენტალისტებისა და რომანტიკოსებისათვის წერის და მეტყველების ფორმა იყო არაბული სალიტერატურო ენა. დიალექტის ან სასაუბრო ენის გამოყენებაზე ნაწარმოებში ფიქრიც კი ზედმეტი იყო. 20–30–40–იანი წლების რეალისტი მწერლები ცდილობენ მცირე დოზით თანდათან გამოიყენონ დიალექტიზმები, ძირითადად დიალოგებში. ამაში პირველობა ძმებ მუჰამად და მაჰმუდ თეიმურებს ეკუთვნით. მოგვიანებით 40 – 50–იან წლებში მწერლები სულ უფრო და უფრო აფართოებენ დიალექტური ფორმების გამოყენების არეალს დიალოგებში, ხოლო III ეტაპზე თხრობის პროცესშიც კი ფართო გამოყენებას პოულობს. 50–იანი წლებიდან ასპარეზზე გამოსული მწერლები მწვავედ აკრიტიკებდნენ წინამორბედ ე. წ. „განმახლებლებს“, მათთვის უკვე „კონსერვატორებად“ ქცეულთ, სასაუბრო ენისადმი ნაკლები ყურადღებისათვის. მეოცე საუკუნის 50–იან წლებში ასპარეზზე გამოდიან ახალი რომანისტები და ნოველისტები, რომლებიც თავიანთ თავს უწოდებენ ახალი სკოლის „ახალ რეალისტებს“. ისინი მეტ–ნაკლებად განიცდიან სოციალისტური იდეების გავლენას. მათ წინ წამოსწიეს ლოზუნგი - „ლიტერატურა ხალხისთვის“ და თამამად აიღეს ორიენტაცია მკითხველთა ფართო მასებზე, ამასთანავე კიდევ უფრო მეტად გააფართოვეს სასაუბრო ენის არეალი. ეს პროცესი დღემდე გრძელდება არაბულ ლიტერატურაში.

ამგვარად, თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში ენის ფორმების გამოყენება რთული და მრავალშრიანი საკითხია. სალიტერატურო არაბული ენა და ადგილობრივი დიალექტები ქმნიან ენის განვითარების საინტერესო დინამიკას. ისტორიული ჭრილში კლასიკური და მისგან მომდინარე თანამედროვე სალიტერატურო ენა (სტანდარტ-ენა) ოფიციალურ სტატუსს ატარებს. ლოკალური დიალექტები კი ცოცხალ, ყოველდღიურ მეტყველებას და ადგილობრივ სპეციფიკას ასახავს. მხატვრულ ლიტერატურაში ხშირად ხდება ამ ორი ფორმის შერწყმა და ურთიერთქმედება. თანამედროვე არაბი მწერლების დიდი ნაწილი სალიტერატურო არაბულ ენას იყენებს, მაგრამ რიგ შემთხვევაში დიალექტის, დიალექტური ფორმების, ელემენტების ჩართვა მხატვრულ ტექსტში განპირობებულია ტექსტის სპეციფიკით. ენის ფორმის შერჩევა ნაკარნახევია ჟანრის ფაქტორით. ზოგადად, პროზაში შესაძლებლობები მეტია დიალექტის გამოყენებისათვის, განსაკუთრებით დრამატურგიაში. პოსტკოლონიური პერიოდის ლიტერატურა იყენებს დიალექტს, როგორც პოლიტიკური წინააღმდეგობის ფორმას. ამ მხრივ აღსანიშნავია დიალექტური პოეზია (ფუად ნიგმი, ალ-აბნუდი, ბაირამ ათ-თუნისი) და ნაწილობრივ პროზა (მუსტაფა მუშარაფა, აჰმად მურადი, მუჰამად ალა ად-დინი). რეგიონალური თვალსაზრისით საინტერესო სურათს ქმნის დიალექტური ფორმების გამოყენება. ეგვიპტური, სირიული, მალრიბის დიალექტები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თითოეული რეგიონი ქმნის საკუთარ ლიტერატურულ ტრადიციას. კიდევ ერთი საინტერესო მახასიათებელი თანამედროვე ლიტერატურული პროცესისა არის სალიტერატურო ენისა და დიალექტური ფორმების შერევა (კოდების შერევა). თანამედროვე არაბი მწერლები ქმნიან ჰიბრიდულ ენობრივ ფორმებს, რაც მიუთითებს არაბული ენის ცოცხალ დინამიურ ბუნებასა და განვითარების უწყვეტ პროცესზე.

ლიტერატურა:

1. აბდელ-მალეკი 1990: ABDEL-MALEQ K. 1990. *A Study of the Vernacular Poetry of Ahmad Fu'ād Nigm*. Brill.
2. აღ-აბნუდი 1998: عبد الرحمان الأبنودي. 1998. *الموت على الأسفلت. مكتبة الأسرة: القاهرة*.
3. ბადავი 2006: BADAWI M. M. 2006: THE BACKGROUND, IN BADAWI M. M. (ED.), THE CAMBRIDGE HISTORY OF ARABIC LITERATURE. MODERN ARABIC LITERATURE, CAMBRIDGE. 1- 23.
4. ბუსი 1990: BOOTH M. 1990. BAYRAM AL-TUNISI'S EGYPT: SOCIAL CRITICISM AND NARRATIVE STRATEGIES. EXETER: ITHACA PRESS
5. კირპიჩენკო 2003: Кирпиченко В. Н ., Сафронов В. В. 2003, История египетской литературы XIX –XX веков. В двух томах, Восточная литература, Москва.
6. სემაჰი 1974: SEMAH D. 1974. FOUR EGYPTIAN LITERARY CRITICS. LEIDEN: BRILL

Leila Kvelidze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

Leila.kvelidze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.83>

The main trends in the development of new Arabic literature and the linguistic situation

Abstract

The process of forming new Arabic literature was inspired by Western ideas. All this contributed to the formation of new literary movements, and new prose genres (short story, novel, drama...). Thus, the twentieth century became a period of recognition and assimilation of Western literary trends for Arabic writing. At the same time, new Arabic literature manages to preserve the features characteristic of national literature in a common cultural-literary context.

When we talk about Arabic literature, we mean the literature of various Arab countries. Some researchers consider Arabic literature as a single whole. However, there are dozens of Arab states with different histories and different levels of development, so it is difficult to imagine the existence of a unified Arabic literature. However, there are a number of factors that contribute to this unity. For example: common historical experience, the Arabic language and a common cultural heritage. Special importance has always been attached to the Arabic language. Many scholars draw attention to the influence that the Arabic language and Arabic literature have on the Arab people. Literature reflects reality and the opinion of society. The existence of common literary trends is important for maintaining Arab unity. It is precisely such factors that determine the fact that the Arabs themselves more often speak of common Arabic literature than about Egyptian, Lebanese or Iraqi. Many prominent Arab writers believed that literature could contribute to this Arab unity since writers from Arab countries use the same language and share a common cultural background, literary tradition, and similar historical experience. However, it cannot be denied that there are differences

in the literary works of these countries. This may concern style, theme, or philosophical outlook. If these different elements continue to develop independently, then the existence of a unified Arabic literature will become doubtful. Despite the desire to maintain a unified Arabic literature, not all Arab countries have been able to make the same contribution to the development of Arabic literature. As a result of the differences in historical conditions and socio-economic development, the transition from medieval to modern literature occurred at different times and in different ways in different regions of the Arab world. Egypt, Lebanon and Syria made a special contribution to the development of new Arabic literature. Journalism and the press played a decisive role in the formation and development of new Arabic literature, as well as in the formation of new linguistic and stylistic norms. Through the press, the current and living material of the new world was reflected in the Arabic language.

Representatives of new and modern Arabic literature pay great attention to the modern literary language; they try to preserve the merits of the literary form of the language and at the same time simplify it and make it more understandable for a wide circle of readers. It is noteworthy that the issue of the attitude of the literary and colloquial forms of the language in public life and literature of the Arab world is the subject of wide discussion.

The majority of Arab writers and men of letters give preference to the literary language, which is distinguished by its expressive and highly artistic capabilities. It is characterized by a solid grammatical system, rich vocabulary and a common form, which makes it accessible to readers from different countries of the Arab world. Despite this, works of art are also created in dialects.

Literature created in the literary language plays an important role in modern Arab culture. But at the same time, fiction created in dialect is part of the general Arabic literary space, and although we are dealing with a local manifestation, from a general Arabic point of view it is a fact that dialectal Arabic literature influences the development of the Arabic literary process in general.

In literature, dialect is used in dialogues and in a number of passages to reflect a real picture. Dramaturgy stands out in this regard, especially plays created on local and everyday themes. The choice of a literary form or dialect of the language in a work of fiction depends on its plot and purpose

Key words: New Arabic literature, Dialectic Arabic literature